**საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში**

## უმაღლესი ლიგა

"დინამო" (თბილისი) – "დინამო“ (კიევი) 2:2 (2:1)

თბილისი, ”ლენინის სახელობის "დინამოს" სტადიონი. 11 მარტი.

თბილისი: გაბელია, კეტაშვილი, ცხადაძე, ჭედია, თეთრაძე, თედეევი, ჯიშკარიანი, ფანცულაია, ცაავა, კაჭარავა, გოგიჩაიშვილი (ქეცბაია, 46).

კიევი: ჩანოვი, ლუჟნი, ბალი, კუზნცოვი, დემიანენკო, რაცი, მიხაილიჩენკო, ლიტოვჩენკო, იარემჩუკი (იაკოვენკო, 75), პროტასოვი, სტელმახი (გოლი, 72).

მსაჯი ს. ჰუსაინოვი (მოსკოვი).

გააფრთხილეს გორილი.

დაიწყო თამაში. პირველ 20–25 წუთს, სიმართლე რომ ვთქვათ, გაწბილების მეტი არაფერი მოუტანია მაყურებლისთვის. ორივე გუნდი საკმაოდ უსისტემოდ თამაშობდა, ფეხბურთელებს ზომაზე მეტად მოსდიოდათ ელემენტარული შეცდომები, უზუსტო გადაცემების გამო თითქმის არც ერთი ხეირიანი კომბინაცია არ გათამაშებულა.

მაგრამ ფეხბურთელები თანდათან შევიდნენ "როლში" და ტაიმის დასასრულს მინდორზე უკვე უკომპრომისო, დაძაბული ბრძოლა მიმდინარეობდა.

პირველი გოლი მე–13 წუთზე გაიტანა ლიტოვჩენკომ: მან მარცხენა ფლანგიდან მიაწოდა კუთხური, ბურთმა კარში შემოხაზა, მასპინძელთა მცველებმა ვერ შეძლეს მისი მოგერიება და ანგარიშიც გაიხსნა.

გაშვებულმა გოლმა თბილისელთა თამაში საგრძნობლად შეცვალა, გუნდი მთელი სიძლიერით, სწრაფად ამოქმედდა და კიეველთა კარში გატანილი იქნა ორი გოლი, ორივე მათგანზე შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო მაღალი ოსტატობის შედეგი: ჯერ 30–ე წუთზე ჯიშკარიანმა შორი მანძილიდან მაღალ კუთხეში დაარტყა და ჩანოვი უძლური იყო რამე მოემოქმედა, მერე კი 42–ე წუთზე ცაავამ მარცხენა მხრიდან ინდივიდუალური გარღვევა შეასრულა, მარჯვნივ მიაწოდა, აქ მისმა პარტნიორმა ბურთი ფეხქვეშ გაატარა, საჯარიმო მოედანში მას მიუსწრო თედეევმა და ძალზე ეფექტური გოლი გაიტანა – 2:1.

ტაიმის დასასრული უკვე ნამდვილი მაღალი კლასის ფეხბურთით აღინიშნა, მაგრმა შესვენების შემდეგ თამაში კიდევ უფრო საინტერესო გახდა, ინიციატივას დაჯერებულად ფლობდნენ თბილისელები, რომლებიც ბევრს მოძრაობდნენ, ადრინდელთან შედარებით გაცილებით უკეთ ასრულებდნენ გადაცემებს და ამ კომბინაციური იერიშების წინააღმდეგ კიეველთა გუნდი თითქმის მთელი ტაიმი პასიური მომგერიებლის როლში აღმოჩნდა. აღსანიშნავია ქეცბაიას აქტიური, ინიციატივიანი თამაში, იგი კარგად ჩაერთო ბრძოლაში და, საერთოდ, მთელი გუნდი მონდომებით, ენერგიულადა მოქმედებდა.

ამ მეტად მნიშვნელოვანი მატჩის მოგება თბილისის "დინამოს" თითქმის უკვე გარანტირებული ჰქონდა, მსაჯის საფინალო სასტვენამდე სულ რაღაც წუთი თუ იყო დარჩენილი, მაგრამ მატჩის ფინიშზე კიეველებმა მთელი თავიანთი შესაძლებლობით ითამაშეს და მოპირდაპირე კართან შექმნილ არეულობაში რაცმა შეძლო კიდეც იმ გოლის გატანა, რომელმაც კიევის "დინამოს" ფრე მოუტანა – 2:2.

ჩემპიონატის პირველ მატჩში თბილისის "დინამომ" კარგი შთაბეჭდილება დატოვა, გუნდმა განსაკუთრებით კარგად ჩაატარა თამაშის მეორე ნახევარი.

* * *

გუშინვე ა. ჟორდანიას სახელობის თბილისის "დინამოს" საწვრთნელ ბაზაზე გაიმართა ამ გუნდების სათადარიგო შემადგენლობათა შეხვედრა. გაიმარჯვეს კიეველებმა – 1:0.

თბილისის "დინამოს" დუბლიორებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშეს: ჭანტურია, დიმიტრიშვილი, (გოგოლაძე), ცვეიბა, მაჭავარიანი, თევზაძე, ხურცილავა, აფციაური, ჯამარაული (ტუღუში), კერძევაძე, ნემსაძე, ბაკურაძე.

**”ლელო” 12 მარტი 1989 წ.**